

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ სიმონიშვილის  
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (2020-2021)

2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის ოქტომბრის ჩათვლით დასწრებული ვარ საკრებულოს ყველა სხდომას. ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ვესწრები კომისიის სხდომებს.


როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ანაგიდან, აქტიურად ვმონაწილეობ სოფელ ანაგაში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხების მომზადება-განხილვაში.

სოფელში უპირველეს პრობლემად კვლავ რჩება მოსახლეობის ხარისხიანი წყლით მომარაგების საკითხები, რომელიც განსაკუთრებით მწვავედება ზაფხულის თვეებში. მის გადასაჭრელად 2020 წლის შემოდგომაზე დაიწყო პროექტი, რომლის შესაბამისად თითქმის დასრულებულია მთავარანგელოზის ხევზე ერთი 500 ტონიანი რეზერვუარის მშენებლობა, ხოლო მეორე 1000 ტონიანი რეზერვუარი დაექვემდებარება მოწესრიგებას. დამთავრდა ერთი ჭაბურღილის მოწყობა, ასევე მოეწყობა მეორე ჭაბურღილი და სახელწიფოს საკუთრებაში არსებული ჭაბურღილები ჩაეშვება სისტემაში მოთხოვნის შესაბამისად. ასევე ჩამოტანილია წყლის მრიცხველები და მალე დაიწყება მისი დამონტაჟება

ხარისხიანი სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის შემდეგ სოფელში აუცილებელია შიდა საუბნო გზების მოწესრიგება (მოასფალტება). აღნიშნულის კუთხით ანაგა მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა სოფლებს. წინასწარი გათვლებით ძირითად დიდ უბნებში 12-14 კმ გზის მოწესრიგება იქნება საჭირო შესაბამისი წყალამრიდი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.

ასევე „მთავარანგელოზის ხევზე“ ცენტრალური გზის ქვემოთ განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოების მეორე ეტაპი. მოეწყო კაპიტალური გაბიონები, რითაც გადაიჭრა პრობლემა, რომელიც ათწლეულები აწუხებდა იქ მცხოვრებ მოსახლეობას. სოფლის დახმარების პროგრამით, მოსახლების მოთხოვნით, 4 უბანში მოეწყო გარე განათება, რომელსაც შემდგომ დაემატება კიდევ 2 უბანი.

აქტიური, ყოველდღიური შეხვედრები მაქვს სოფელ ანაგის მოსახლეობასთან. მოსახლეობას შემოქმედებისდაგვარად ვეხმარები მათ საყოფაცხოვრებო და სხვა პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი:  /ვ.სიმონიშვილი/

20.10.2021 წელი.